# იმერეთი

**ფასი:** წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 3 აბ. **ცალკე ნუმერი ერთი შაური.** წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანათი.

**ხუთშაბათი 5 ივნისს**

**მისამართი:** ქუთაისი, რედაქცია—[illegible] „იმერეთი“ თფილისის ქუჩა, ფირალოვის თამბაქოს ქარხნის პირდაპირ შესახვევში. სახლი ოცხელისა.

ტელეფონი № 4.

**№ 71** ყოველდღიური გაზეთი — წელიწადი მესამე 1914 **№ 71**


ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## — „იმერეთი“ —

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისათვის

**გაზეთის ფასი:**

| | |
|---|---|
| ერთი წლით | 7 მანეთი. |
| ნახევარი წლით | 4 მანეთი. |
| ერთი თვით | 3 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის | 1 შაური. |

გაზეთის წლიური დასაკვეთი ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 15 მ. 1/2 წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთის ეთმობათ წლიურათ 6 მ., ნახევარი წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზეთ. **ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით** редакція „ИМЕРЕТИ“ Гаврілу Ивановичу Дарахвелидзе **სხვა გვარად გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.**

რედაქცია უმორჩილესათ სთხოვს თავის კორესპონდენტებს კორესპონდენციები სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე, გარკვევით და გაურკვევლად ნაწერი წერილები განუხილავი დარჩება. წვრილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არა კისრულობს.

---

ღრმა მწუხარებაში მყოფნი ჭირისუფალნი კნეინა ნარიომ, ნინა და მიხეილ ნიჟარაძენი, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი საყვარელი შვილისა, მეორენი თვისი საყვარელი დისას

**სონია დავითის ასულის ნიჟარაძის**

გადაცვალებას. დაკრძალვა დანიშნულია დღეს 3 საათზე. გამოსვენება თავის ბინიდან, სახლი გაბუნიასი, ბაღის ქუჩა.

---

სპეციალური წიგნის მაღაზია

**კოსტანტინე ივ. ძის ოცხელისა და ამხ.**

(ქუთაისში.)

აცხადებს, რომ იგი იწერს დიდძალ წიგნს რუსეთისა და საქართველოს ფირმებისაგან, რომლებზედაც მას აქვს პირდაპირი და სალავათიანი დამოკიდებულება, და გამოწერილ წიგნებს უკეთებს საუკეთესო ყდას ახლად გამართულს საკუთარ საკაზმავ სახელოსნოში.

ამის გამო მას, როგორც სპეციალურს და უდიდეს წიგნის მაღაზიას ქუთაისში, ეძლევა საშუალება დაუთმოს წიგნები მეტად სალავათიანი პირობებით ყველა განმანათლებელ დაწესებულებას: შკოლებს, ბიბლიოთეკებს, სამკითხველოებს და სხვ. პროვინციის წიგნის მაღაზიებს მიეცემათ ის დათმობა, რაც შეუძლიათ მათ მიიღონ რუსეთიდან წიგნების პირდაპირი გამოწერით, თუ იგინი ერთი თვით ადრე დაიკვეთენ წიგნებს.

მსურველთ ეგზავნებათ უფასოდ ქართულისა და რუსული წიგნების ახლად შედგენილი კატალოგები.

წიგნის მაღაზიის გვერდით გამართულია საუკეთესოთ მოწყობილი **საკანცელარიო მაღაზია დ. ოცხელისა,** სადაც მოიპოვება ყოველგვარი საკანცელარიო და სასწავლო ნივთი მეტად ზომიერ ფასად.

---

ქუთაისი

## პირველი კერძო სამკურნალო

სპეციალისტი ექიმებით.

**მუდმივი საწოლებით თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.**

**ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:**

დილით.

| | |
|---|---|
| ბ. ა. მირაქოვი—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული. | 1—2 |
| გ. ს. ნადირაძე.—შინაგანი და ბავშის | 10—11 |
| ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო ყოველ დღე | 11—2 |
| მ. დ. ბეთანოვი.—კანის, ათაშანგი, ვენერ. | 12—2 |
| ვ. ა. ჭოდოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. | 12½2მ |

საღამოთ.

| | |
|---|---|
| გ. ლ. ქორქაშვილი—თვალის ხუთშაბათობით | 4½—5½ |
| ვ. ა. ჭოდოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. | 5½—6/ |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი № 53

**სამკურნალოს დირექტორი—ვ. ა. ჭოდოშვილი.**

---

ექიმის იკ. ზოკერიას

## საავათმყოფო

გადავიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მიხეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწოლ ავათმყოფებს ღებულობენ ყოველ დროს.

---

ქალაქის თეატრი.

შაბათს 7 ივნისს, გაიმართება

## ი. ევდოშვილის მონაწილეობით

## საღამო

ოთხ განყოფილებათ:

I.

**კ. აბაშიძე** წაიკითხავს ლიტერატურულ ესკიზს

II.

სალიტერატურო განყოფილება.

მონაწილეობას მიიღებენ. დ. კლდიაშვილი, ია ეკალაძე, თომაშვილი, ცვარ-ნამი, გუცა, ი. ევდოშვილი.

III.

დრამატიული განყოფილება.

**„არივ დარია“** ვოდ. 1 მოქმედ.

მონაწილეობენ: ქ-ნნი ქაჯაია, პაპავა, ეპიტაშვილი, ბ-ნნი: ნემო, ა. მუროუსიძე, ა. სარელი და ჩხიკვაძე.

IIII.

მუსიკალური განყოფილება

ქნი დავითაიშვილი, ბ-ნნი საადა და კნიტლი.

---

ქალაქის თეატრში

5 ივნისს

**ვ. ა. ბურკო**

წაიკითხავს ლექციას.

## საქართველოს კულტურა

და

მისი დამოკიდებულება აღმოსავლეთთან.

---

„იმერეთის“ რედაქცია და კანტორა

## გადავიდა

**თფილისის ქუჩაზე, ფირალოვის თამბაქოს ქარხნის პირდაპირ შესახვევში ოცხელის სახლებში.**

---

ქუთაისი.

**თ. მთავრიშვილის და ამხ.**

წიგნისა და საკანცელარიო ნივთების მაღაზიაში

იყიდება ყოველგვარი სახელმძღვანელო ქართულსა და რუსულ ენაზე შედგენილი. მაღაზიას მუდმივ მოსდის ახალ-ახალი რუსული და ქართული წიგნები როგორც რუსეთის ცნობილი ფირმებიდან, ისე საქართველოს ყოველი ქალაქიდან—დაბეჭდვისათანავე. მაღაზიაში არის ყოველგვარი საკანცელარიო ნივთი, სახატავი და საწერი რვეულები საკუთარი ფირმისა. პროვინციის მოთხოვნილებას მაღაზია დაუყონებლივ აკმაყოფილებს. მაღაზია ღებულობს ხელის მოწერას ყველა რუსულსა და ქართულ ჟურნალ-გაზეთზე.

---

დაიწყო ხელის მოწერა

**ჯაჯუ ჯორჯიკიას**

თხზულების პირველ ტომზე. წიგნში იქნება სამასი გვერდი და დაერთობა კიტა აბაშიძისა და მ. წულუკიძის კრიტიკული წერილები.

წიგნი ეღირება ხელის მოწერით 50 კ. ხელის მოწერა პირველ აგვისტომდი გაგძელდება წიგნი ხელის მომწერთ ეკენისთვეში დაურიგდებათ. ხელის მოწერის შესახებ მოლაპარაკება და ფულის გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით „ჩვენი ერის“ რედაქცია სერ. გერსამიასა და გიგლა მებუკეს.

ხელის მოწერა მიიღება **ქუთაისში** მთავრიშვილის, ოცხელის და გოგიბერიძის წიგნის მაღაზიებში, ჟურნალ გაზეთების კანტორა იმერეთში ის. კვიცარიძესთან დავით ავალიანთან ილიკო მესხთან, ილიკო ნიჟარაძესთან, დომენტი ოყროშიძესთან, პ. ბოკერიასთან ლ. ლოლუასთან, გ. შავდიასთან, ნონა ლეკვეიშვილის ასულთან, ცერცვაძის ქალთან და სხვებთან. **თფილისში** სახალხო გაზეთისა და თემის რედაქციებში. **ბაქოში** აქიმ ივანე ელიაშვილთან **თელავში** ივანე პაატაშვილთან **სიღნაღში** კახეთის ხმის რედაქციაში **ჭიათურაში** პლატონ ლეჟავასთან **ყვირილაში** კიკნაველიძის წიგნის მაღაზიაში **ბაკურიანში** ნიკ. აბესაძესთან **წალვერში** ალ. ცირეკიძესთან **ხორაგაულში** ფოშტაში კ. ჯაფარიძესთან **მარელისში** მასწ. მ. დეკანოსიძესთან **მოლითში** მასწ. ს. ლამბაშიძესთან **სამტრედიაში** ის. სტუროუასთან **აბაშაში** ალექსანდრე ესაკიასთან **ახალ—სენაკში** ვლადიმერ კვანტელიანთან და სამკითხველოში ლორთქიფანიძესთან **ფოთში** მიხა ესაკიასთან და კოსტა თელიასთან **ლანჩხუთში** შოთა ვადაჭკორიასთან, **ოზურგეთში** გიორგი მუმლაძესთან **ჩოხატაურში** გრ. თავდგირიძესთან **აცანაში შუხუთში ჩიბათში** და **ლესაში** ფერშალ ექვთიმე ორაგველიძესთან **ბათომში** ს. მდივანთან, განთიადის წიგნის მაღაზიაში და ბათომის გაზეთის რედაქციაში **ოჩამჩირეში** თეოფილე ხუსკივაძესთან **ნოსირში** მომხმარებელ საზოგადოებაში **ხობში** პროვიზორ ოგანეზოვთან **წინმძღვარიან კარში** ნესტორ ძიძიგურთან **ონში** ილია გოგიასთან **ალპანაში** სამსონ ფრუიძესთან **ზუგდიდში** იოსებ გოგიასთან **ხონში** კესარია მებუკის ასულთან მ. ჭელიძესთან და მ. ჭავჭანიძესთან **სოხუმში** პლატონ გელოვანთან **ბანძაში** ესტატე მონივასთან **განჯაში** ტრიფონ თაბუკაშვილთან **ნაოლალევში** აქსენტი ფარულავასთან **ნახუნავოში** ბეგლარ ფაღავასთან **მაღლაკში** ელენე ნიჟარაძის მეუღლესთან **ამაღლებაში** მარიამ ჩიჯავაძესთან **ბაღდათში** გ. ახვლედიანთან **მათხოჯში** ლავ. ძიძიგურთან **კავკავში** იასონ ლორთქიფანიძესთან **სადმელში, ჭრეპალოში, სურამში, კურსებში, გორში, ბორჯომში სვირში** და **სიმონეთში სამკითხველოში. ქუთაისის გუბერნიის** სხვა დასხვა სოფელსა და დაბაში მელიტონ დოლაბერიძესთან. **გურიასა, რაჭასა** და **საბარაკო** ადგილებში გვეყოლება მოსიარულე აგენტი.

---

**ექიმი ბ. ა. მირაქოვი** დაბრუნდა რუსეთიდან და გაახლო ავათმყოფების მიღება ყურის ცხვირის და ყელის.

ლევაშოვის ქუჩა საკუთარი სახლი № 19, შეიძლება ივანოვის ქუჩიდანაც № 18.

---

**ექიმი ა. მ. ასათიანი** ღებულობს ავათმყოფებს. **ქალის, ვენერიული** (სიფილისი) და შინაგანის. საშარდე ბუშტის გაშინჯვა ელექტრონის შემწეობით (ცისტოსკოპით).

---

ვ. უნივერსიტეტის მედიცინის

**ექიმი ვ. ი. კაკიტელაშვილი** საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებიანი) ავათმყოფების მიღება. საშარდე მილისა და ბუშტის ელექტრონით განათება (ცისტოსკოპით) ათაშანგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეტი. ელექტრონის აბაზანები მიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5—7 საათ.

**მისამართი:** ქარვასლისა და პუშკინის უჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის ცირდაპირ.

---

**ქ. ქუთაისში**

კბილის ექიმი

**ს. ა. ცეიტლინი.**

კბილის და პირის ავათმყოფობა. ხელოვნური კბილების გაკეთება.

მიიღებს ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და 4—7 საათ. საღ. ბალახვანის ქუჩა. სახაზინო პალატის გვერდით.

---

**ექიმი ი. ჩარექოვი იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს** მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს ექიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

---

## მცველები პატრიოტიზმისა.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ერთხელ, რომ ჩვენი ეროვნულ-კულტურული დაწესებულებანი ფედერალისტურ კამარილიას ემორჩილებიან. ეს კამარილია თავის თავს დემოკრატიულად სთვლის. მაგრამ ამ დემოკრატიულ ჯგუფს ერთი უცნაური თვისება სჭირს. საკმაოა საქმე, მართლაც, ხალხზე მიდგეს, და ჩვენი „დემოკრატები“ იმ ბატონებათ იქცევიან ხოლმე, რომლებიც თვითონ დარბაზში შედიან, მხლებლებს კი (იგულისხმე ხალხი) ეზოში სტოვებენ, ან, უკეთეს შემთხვევაში, სამზარეულოში გზავნიან.

დიდი ხანია ჩვენს საზოგადოებაში მომწიფდა ის აზრი, რომ ჩვენი ეროვნულ-კულტურული დაწესებულებანი ნამდვილ ხალხოსნურ დაწესებულებად იქცნენ. ასეთი ცვლილება კი მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა ეს დაწესებულებანი ხალხს გაუღებენ კარს. ის დრო უკვე წარსულს ჩაბარდა, როცა ყველაფრის მასულდგმულებელი ჩვენი გადაგვარებული და გარუსებული ინტელიგენცია იყო. საჭიროა ახალი ძალა, მაგრამ ძალა ეროვნული, გადაგვარებას მოკლებული, რომ ამ დაწესებულებათა ცხოვრებას მეტი ნაყოფი ჰქონდეს. ასეთი ძალა ჩვენი დემოკრატიის შეგნებული ნაწილია. ჩვენ ეროვნულ დაწესებულებათა გახალხოსნურება ისეთი აუცილებლობაა, რომ, ერთის შეხედვით, არც არავინ უნდა იყოს ამის წინააღმდეგი, მაგრამ ჩვენში სწორედ საწინააღმდეგო რამ ხდება. და გასაოცარი აქ ის კი არ არის, რომ ჩვენს ცხოვრებაშიც გამოიძებნა ისეთი ჯგუფი, რომელიც ეწინააღმდეგება ასეთ პროგრესიულ მოთხოვნილებას ჩვენი დროისას. რეაქციო-

ნერები და რეტროგრადები ყველგან არიან! უცნაური აქ ის არის, რომ ასეთ მოწინააღმდეგე ჯგუფად გამოდის ის ჯგუფი, რომელიც დემოკრატისა და სოციალისტის სახელს ატარებს. ეს ჯგუფია „სახალხო ფურცელის" ჯგუფი, რომელმაც უკვე მოასწრო იმის განცხადება, რომ საჭირო არ არის, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წლიურ კრებაზე, ბევრი წევრი დაესწროსო.

ასეთ განცხადებას რომ ნაციონალიზმი უწოდოთ, დიდი შეცდომა იქმნება. ნაციონალიზმი და მეტადრე ქართული ნაციონალიზმი, პირიქით, იმას მოითხოვს, რომ ყველა ჩვენი დაწესებულებანი ეროვნულის და მეტადრე დაბალი ხალხის ენერგიით იკვებებოდეს. ეს არ ესმის „სახალხო ფურცელს" და საჯარო კრების შეეცრობას სწევს, რომ ხალხი ნაკლებ მივიდეს იქ. როგორ უნდა ავხსნათ ასეთი განცხადება სოციალისტურ გაზეთისა? რა არის მიზეზი ასეთ დემოკრატიულ სიძულვილისა ხალხისადმი? მიზეზი მარტივია, რომლიდანაც ისეთი დასკვნის გამოყვანა, როგორიც გამოჰყავს „სახალხო ფურცელს", მხოლოდ პრიმიტიულ გონებას შეუძლიან. საქმე ის არის, რომ ის ხალხი, რომელიც უკვე ეტანება ჩვენს დაწესებულებებს, უმთავრესად სოციალ-დემოკრატიული მასაა, რომელიც, ცხადია, ფედერალისტურ პროგრამას არ იზიარებს და არ იზიარებს მაშასადამე, არც ფედერალისტებისაგან შეთითხნილ „უტერიტორიო" ავტონომიას. ასეთ მასსის დაშვებას ეროვნულ დაწესებულებაში ფედერალისტები მომაკვდინებელ ცოდვათ სთვლიან. ამიტომ რაზებს ამზადებენ, გასაღებებს სჭედვენ, ურდულებს სთლიან, კედლებს აშენებენ! სოციალისტები შეეიცრებათ გამოდიან ყველგან და ვინც ფედერალისტურ ფრაკში არ არის გამოწყობილი, მის წინ კარებს ხურავენ.

ასეთი საქციელი ერთხელ და სამუდამოთ უნდა დავგმოთ იმდენათ არა როგორც დემოკრატებმა, რამდენათ ნაციონალისტებმა. უნდა გვახსოვდეს უდიდესი კანონი ცხოვრებისა, რომ მხოლოდ ეროვნული დაწესებულებანი ჰქმნიან ეროვნულ სულს. ამიტომ ჩვენი მიზანი უნდა იყოს, რაც შეიძლება არა ეროვნულად მომართული ხალხი შევიყვანოთ ჩვენს დაწესებულებებში, რათა ეს უკანასკნელნი სკოლად შეიქმნენ მათთვის პატრიოტიზმისა და ეროვნულ უფლებათა დაცვისა. ბისმარკმაც განდევნა სოციალისტები პარლამენტიდან, რათა მათი გავლენა მოესპო, მაგრამ ასეთმა ბრძოლამ სოციალისტების წინააღმდეგ, მხოლოდ ანარხიზმი ააყვავა გერმანიაში. სამაგიეროდ, როცა სოციალისტები კვლავ დაბრუნდენ პარლამენტში, ისინი მონაწილენი გახდენ გერმანიის სახელმწიფო ცხოვრებისა და ამ ცხოვრებამ აიძულა ბებელი ეთქვა: „პირველი მე გავიდებ მხარზე თოფს, თუ ჩემს სამშობლოს განსაცდელი მოელისო."

ჩვენში ანალოგიური მოვლენაა. ჩვენ ვსდევნით ყველა ჩვენ დაწესებულებიდან რაც კი დასელების სახელს ატარებს ჩვენ ვანვითარებთ, მაშასადამე, ეროვნულ ანარხიზმს მათში და თან ვეუბნებით მათ: იყავით პატრიოტები, დაიცავით სამშობლო, მისი დაწესებულებანი!"-ო. ეს ულოღიკობაა, რომელიც თავიდანუნდა მოვიშოროთ.

## ჩვენი პრესა.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ტფილისს ესტუმრა კონცერტების გასამართავათ ჩვენი ცნობილი კომპოზიტორი დ. არაყიშვილი. მის ნიჭისა, ცოდნისა და ქართული მუსიკის შესახებ „თეატრი და ცხოვრება" სწერს.

ის დღე, როდესაც ბ. არაყიშვილი პირველად გამოვიდა კონცერტში თავისი სიმფონიური ნაწარმოებით, ჩვენ მივაჩნია ქართულ მუსიკისათვის ისტორიულ დღეთ, რადგანაც ამ დღეს ჩვენ თვით ვიყავით იმისი მოწამე, რომ ქართული მუსიკა გამოვიდა მთაბარის ვიწრო ბილიკებიდან და დაადგა იმ ფართო შარა გზას, რომელსაც მიჰყავს იგი ევროპიულ მუსიკასთან შესაერთებლათ.

ამითი სრულიადაც არ მინდა მისი თქმა, ვითომც ქართულ მუსიკის იდეალი მარტო იმაში გამოიხატებოდეს, რომ იგი დაუახლოვდეს, ან შეუერთდეს ევროპიულ მუსიკას. სრულიადაც არა! ქართული მუსიკა ძალიან მძლავრი, თავისებური და მდიდარი შტო არის იმ ხისა, რომელსაც ჰქვიან მსოფლიო მუსიკა, და ძალიან სამწუხარო იქნებოდა ამ მრავალფეროვანი შტოს გაუქმება და რომელიმე ერის მუსიკასთან შედუღება. ჩემი სიტყვები იმ აზრით მოვიყვანე, რომ ამ დღეს ჩვენ მოვისმინეთ ქართული მუსიკის ის შემოქმედებითი საფეხური, რომელიც მას ნებას აძლევს თამამად მხარში ამოუდგეს ევროპიულ მუსიკას და მასთან ერთად, როგორც თანასწორი, განაგრძოს თავისი განვითარება".

# ქუთაისი.

### ახალი ამბავი.

3 ივნისს, პეტერბურგის ბირჟაზე ქუთაისის სათავადაზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გირავნობის ფურცლები 78 მანეთად და 10 შაურათ ფასობდა.

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობას გუბერნატორთან შუამდგომლობა აღუძრავს გაყვანილ იქნას ბაღის ქუჩიდან — გორისკენ ხაზინის ადგილზე ფართო, სამ საჟენიანი გზა.

✦ დაშეულთა კერძო კომიტეტს ჯერ სიმიდის დარიგება არ დაუმთავრებია. გასანაწილებელი ყოფილა კიდევ 1000 მანეთის სიმიდი.

✦ 3 ივნისს მოსკოველ მსახიობთა უკანასკნელ ოპერეტას ხალხი ცოტა დაესწრო.

✦ 2 ივნისს სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკში შესდგა ამ ბანკის ზედამხედველი კომიტეტის და გამგეობის შეერთებული კრება. კრებამ დაადგინა: 1) მიეცეს ქუთ. სათავადაზნაურო გიმნაზიის გამგეობას 3,000 მანეთი ღარიბ მოწაფეთა სწავლის ფულისაგან გასათავისუფლებლათ. 2) ქუთაისის ქართულ დრამატიულ საზოგადოებას 2,000 მან. 3) წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას 1,500 მანეთი. 4) ქუთაისის საეთნოგრაფიო-საისტორიო საზოგადოებას 600 მანეთი. 5) ქუთაისის სასოფლო-სამეურნო შკოლას 500 მანეთი. 6) სახალხო გაზეთის გამომცემლობას 300 მანეთი. 6) ქუთაისის გუბერნიის მოუსავლობით დაშეულთა დასახმარებლათ 300 მან. 8) გაზ. „კოოპერაციას" 200 მანეთი. 9) საბუნებისმეტყველო საზოგადოებას 100 მანეთი. 10) ჟურნალ „განათლების" გამომცემლობას 100 მანეთი. 11) ქ. სოხუმში შემდგარ კომიტეტს — ქართულ ეკლესიის ასაშენებლათ 50 მან. 12) დიდი კნ. ოლღა ფეოდოროვნას ძეგლის ასაგებათ 50 მანეთი. და 14) თფილისში მელიორაციულ კომიტეტის ორგანიზაციას 100 მანეთი.

✦ გუშინ პეტერბურგს გაემგზავრა ცეცხლისაგან დამწვევი საურთიერთო საზოგადოების ზედამხედველი კომიტეტის წევრი ბ-ნი იაკობ ჩიმაკაძე. ის გაგზავნილია კავშირის კრებაზე დასასწრებლათ ბ ნ. ონ. სვანიძის მაგიერათ.

✦ ქუთაისის გუბერნიის დამხმარე კომიტეტის შეერთებულ კრებაზე დაუდგენიათ; დამატებით სიმიდის დასაკმაყოფილებლათ თანხა გადიდებულ იქნას 150,000 მანეთით.

✦ 3 ივნისს დილის ათ საათზე თავის სახლთან, საფირჩხიაზე, კარბოლის სიმჟავე დალია სახელმწიფო მიწათა და ქონების სამართველოს მოხელემ გიორგი ვახტანგაძემ. მაგრამ ექიმების დახმარებით ის სიკვდილს გადარჩა.

✦ ღ. ცაგერში 30 მაისს, მასწავლებელ ლაბაძოვს რევოლვერით თავი მოუკლავს.

✦ გუბერნიის დაშეულთა დამხმარე კომიტეტს ბაღდადის საზოგადოებისათვის გადაუდვია 2,524 ფუთი სიმინდი. სიმონეთის საზოგადოებისათვის — 5,908 კიცნაველეთის საზოგადოებისათვის 1509 საყულიის საზოგადოებისათვის 8,508 და პატრიკეთის საზოგადოებისათვის — 8,351 ფუთი.

✦ 3 ივნისს, მიხეილის ქუჩაზე საოლქო სასამართლოს წევრის ბ-ნ შნეიდერის პატარა ვაჟს უცაბედათ რევოლვერი მოურტყამს მეზობლის ბავშისათვის.

✦ 3 ივნისს საოლქო სასამართლოში ირჩეოდა ნინა მამარდაშვილის და კოწია დათიაშვილის საქმე. მათ ბრალდებოდათ ნინას სახლის დაწვა, რომელიც დაზღვეული იყო. ამ საქმეზე გამოწვეული იყო 23 მოწმე. საქმის გარჩევამ დილის 11 საათიდან ღამის 4 საათამდი გასტანა. სასამართლომ ბრალდებულები გაამართლა.

# თფილისი

ალექსანდრე სარაჯიშვილის ანდერძეა, განსვენებულ ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილის სურვილისამებრ, მისი კუბო გვირგვინებით არ შეიმკობა და დაკძალვაზედაც სიტყვები არ წარმოითქმევა.

ალ. ი. სარაჯიშვილის გადაცვალების გამო საგანგებო კრება ჰქონდა ქ. შ. წ. კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას, რომლის წევრათაც განსვენებული უწინ რამდენსამე წელიწადს იყო. რადგანაც განსვენებულმა ანდერძი დასტოვა, ჩემი კუბო გვირგვინით არ შეამკოთო, გამგეობამ დაადგინა, განსვენებულის გადაცვალების ამბავი გაზეთების საშუალებით აცნობოს საზოგადოებას და დაესწროს მთელის შემადგენლობით განსვენებულის დასაფლავებას.

— პეტერბურგიდან ჩამოსულმა გეოლოგების ექსკურსიამ გამოჩენილ პროფესორის რიაბინის მეთაურობით დაათვალიერა თფილისი და მისი მიდამოები. სხვათა შორის ისინი ავიდენ მამადავითზე ილიას საფლავზე. ი. ნიკოლაძის ქანდაკებამ — ილიას ძეგლმა მათში აღტაცება გამოიწვია. მეტად მოეწონათ აგრეთვე ჩუქურთმები. მათი აზრით ძეგლი ჰეშმარიტი მხატვრული ნაწარმოებია და იგი მშვენიერად გამოხატავს მწუხარებას.

თფილისის მცხოვრებნი. 1914 წლის დასაწყისში ქალაქის პოლიციის ცნობით თფილისის მცხოვრებთა შემადგენლობა შემდეგი იყო: რუსები (ქალი და კაცი) — მართლმადიდებელნი — 17,775 სული, სექტანტები — 6,581; დანარჩენი ევროპიულ მოდგმის ხალხი — 15,201; ქართველები: მართლმადიდებელნი — 57,816, მაჰმადიანი — 11,747; სომხები: გრიგორიანები — 120,057, მართლმადიდებელნი — 842; სხვა დასხვა სარწმუნოებისა — 8,690; კავკასიის მთიულნი: მაჰმადიანნი — 2,136, სხვადასხვა სარწმუნოებისა — 2,047: ქურთები: მაჰმადიანი — 2,404, ეზიდები — 3,215; აზიის სხვა და სხვა ხალხი; ქრისტიანები — 18,407, მაჰმადიანნი შიიტები — 7,395, მაჰმადიანი სუნიტები — 6,439; ციგნები — 31, ებრაელები — 9,167 სული. სულ 343,950 სული. ამ სტატისტიკაში შედიან როგორც მკვიდრნი, ისე თფილისში დროებით მცხოვრებნი.

მკვიდრნი ყოფილან: რუსები: მართლმადიდებელნი — 20,755 კაცი და 17,640 ქალი, ხოლო სექტანტები 2,116 კაცი და 2,027 ქალი; ქართველები: მართლმადიდებელნი — 21,483 კაცი და 16,692 ქალი, ხოლო მაჰმადიანები 5,969 კაცი და 5,145 ქალი: სომხები: გრიგორიანები — 36,949 კაცი და 34,609 ქალი და სხვა და სხვა სარწმუნოებისა — 2,747 კაცი და 2,179 ქალი...

დროებით მცხოვრებნი ყოფილან: რუსები: მართლ-მდიდებელნი — 17,185 კაცი და 16,195 ქალი, ხოლო სექტანტები — 1,277 კაცი და 1,161 ქალი; ქართველები: მართლ-მადიდებელნი — 11,153 კაცი და 8,488 ქალი, ხოლო მაჰმადიანნი — 355 კაცი და 278 ქალი; სომხები: გრიგორიანები — 28,805 კაცი და 19,694 ქალი, მართლ-მადიდებლები — 186 კაცი და 126 ქალი, სხვა და სხვა სარწმუნოებისა — 2,302 კაცი და 1,462 ქალი...

# პატარა ფელეტონი.

(რაბინდრანატ ტაგორიდან.)

I

ნუ გალობ საღვთო საგალობელს, ნუ ლოცულობ ხელ აპყრობილი, ნუ არჩევ კრიალოსანს!

ვის სცემ, შენ, თაყვანს დაკეტილ სამლოცველოს ბნელ კუთხეში? გაახილე თვალები და დაინახავ. რომ შენი ღმერთი შენთან არ არის.

ის იქაა, სადაც გლეხი მიწასა ხნავს, სადაც ქვის მკოდავი გზებისათვის ქვას ამტვრევს, ის მათთანაა მწვავ სიცხისა და კოკის პირული წვიმის დროს. მისი ტანსაცმელი დახეული და გამტვერიანებულია... შენც გაიხადე ეგ საღმრთო სამოსელი და იმისავით გაუდექი მტვრიან გზებსა და მინდვრებს...

შენ ცხოვრებისაგან განთავისუფლებას ეძებ? და იცი სად შეიძლება ნახო ეს განთავისუფლება? — ჩვენი გამჩენი მუშა იყო — მან ქვეყანა შექმნა და ამ გვარათ კავშირი დაარსა ჩვენსა და მის შორის.

მაშ შენც გამოდი მაგ მაყურებლის მდგომარეობიდან, დასტოვე სამსხვერპლო ყვავილები დასაკმელი! დაე, შენი ტანსაცმელი ძონძებათ იქცეს, დაე, ის დაიფაროს შრომისაგან ჩამონაწურ ოფლის წვეთებით!...

შრომაში შეხვდი მეუფებას!...

II

— „პატიმარო, მითხარ, ვინ შეგბორკა შენ?"

— ჩემმა მბრძანებელმა — სთქვა მან, მე ვფიქრობდი, რომ ყველაზე მდიდარი და შემძლებელი ვიყავი.. საკუთარ სალაროში მე შევაგროვე ჩემი მბრძანებლის უხვი სიმდიდრე... როდესაც ძილი მომერია, მე მბრძანებლის საწოლზე დავესწვენ — გამომეღვიძა და დავინახე, რომ ჩემსავე სალაროში ვიყავი დამწყვდეული.

პატიმარო, მითხარ, ვინ გასჭედა ეს ბორკილი, რომლის გაწყვეტაც შეუძლებელია!"

— მე გავსჭედე, მე — ამბობს პატიმარი — მე ვცდილობდი, რომ ის მაგარი გამოსულიყო. მეგონა, რომ ჩემი ძლიერება მთელქ ვეყანას დაატყვევებდა და ჩემი თავისუფლება კი უსაზღვრო იქნებოდა. ამიტომ მე დღეცა და ღამეც დაუღალავათ ვსცემდი ჩაქუჩს გახურებულ ქურასთან და მაგარ ჯაჭვსა ვსჭედავდი. როდესაც სამუშაო გავათავე, როცა გავსჭედე და შევაერთე ყველა მაგარი რგოლები ჯაჭვისა მე თითონ გავიხლართე შიგ...

III

მე არ მახსოვს წუთი ჩემი ამ ქვეყნათ მოსვლისა.

რა ძალამ გამშალა მე ამ დიად საიდუმლოებათა შორის, ვით კვირტი შუაღამის ჟამს?..

მაგრამ, როდესაც მე დილით ქვეყანა დავინახე — ვიგრძენ, რომ მე აქ გარეშე არა ვარ, რომ უცნობმა და უსახელომ ამიყვანა მე დედა ჩემის სახით.

ამ გვარათვე გამოცხადდება ის უცნობი და უსახელო ჩემი აღსასრულის ჟამს, გამოცხადდება ვით ნაცნობი...

და რადგანაც ასე ძლიერ მიყვარს სიცოცხლე, მე ვიცი რომ ასევე ძლიერ შემიყვარდება სიკვდილიც. ბავშვი სტირის, როდესაც დედა ართმევს მას პირიდან მარჯვენა ძუძუს, მაგრამ იგი იმწამსვე სცხრება, როცა მარცხენა ძუძუს მონახავს.

ჰოდო ნოვუს.

# ჩვენ შორის.

ქართველი ერის არსებობისათვის საჭიროა: ენისა, ტერიტორიისა, სახელისა და გვარის შენარჩუნება. — ჩვენ ენას, ტერიტორიას, სახელსა და გვარს სამი უმთავრესი მტერი ყავს. ეს მტრები არიან: გარეშე უხეში ძალა, ნაციონალური შეუგნებლობა და მამულის უსიყვარულობა. გარეშე უხეშ ძალას სულითა და გულით სურს ჩვენი გადაგვარება და ამ მიზნისათვის არავითარი იარაღის ხმარებას არ ერიდება, ჩვენც საუბედუროდ და სამწუხაროდ ჩვენდა, ნაცვლად იმისა, რომ ძალას ძალა დაუპირდაპიროთ, ჩვენი ნაციონალური შეუგნებლობის და მამულის უსიყვარულობის გამო, ხშირათ ამ გარეშე ძალას ხელს ვუწყობთ და, ამ რიგათ, ჩვენი გადაგვარების „პროცესს" ვაჩქარებთ.

ყოველი შეგნებული ქართველისათვის ცხადია, რომ დღეს ჩვენ ენას მთავრობის სკოლებში მაინც შესაფერისი ადგილი არ უჭირავს და მას (ენას) იქიდან კიდევაც სდევნიან, მაგრამ, ერთი ეს მიბრძანეთ, ჯერ-ჯერობით ოჯახში ხომ მაინც არავინ შემოგვხტომია და არ აუკრძალავს ჩვენთვის ქართულათ ლაპარაკი, რომ ჩვენი ინტელიგენციის უმრავლესობა სულ რუსულათ ჟღურტულობს თავის ცოლ-შვილში?! ორი და სამი ქართველი რომ თავს ვიყრით ერთად, ჩვენს მუსაიფს ქართულად რომ ვიწყებთ (ხშირათ საუბედუროთ დაწყებითაც სხვა ენაზე ვიწყებთ) რუსულათ რათ ვათავებთ ან და ერთმანეთში დომხალივით რათ ვურევთ?! უსათუოდ მკითხველს პასუხი მზათ აქვს, რომ ეს აღზრდის ბრალია, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ჩვენ ჩვენ შვილებს ისე არა ვზრდით, როგორც ნაციონალური შეგნება მოითხოვს, პედაგოგიკას რომ თავი დავანებოთ.

თქვენი შვილი შვიდ წლამდის ხომ თქვენ ოჯახში გყავსთ, აკვანშივე ნუ ჩასჩინებთ მას მამის ნაცვლად „პაპას" და დედის ნაცვლად „მამას", ბავშობიდგანვე შეაყვარეთ მას [illegible] გწამდეს, რომ დანარჩენი [illegible] ის უხეში ძალა და საცკლო ბიუროკრატიული რეჟიმი თავის ღვარძლის დასათესად მომზადებულ ნიადაგს ვერ იპოვის თქვენი შვილის გულში.

ჩვენი ენის მოსპობაში თუ ხელს უწყობთ ბიუროკრატიას ნაკლებ ენერგიას არც ტერიტორიის განადგურებაში და სახელისა და გვარების შეცვლაში ვიჩენთ, ქართლში თუ ძალით გვართმევენ ტირიფონის ველს, სხვა ჩვენი ქვეყნის კუთხეებში ჩვენი თავად-აზნაურობა თავის ნებით ყიდის ჩალის ფასად მამულსა უცხო ტომის ხალხზე და აგირავებს სხვადასხვა ბანკებში და ანაღები ფულებით „ჰარიარალოს" იძახის.

ჩვენი ისტორიული სახელების აღმოსაფხვრელად დიდ ცდაშია სასულიერო ბიუროკრატია, მაგრამ, ჩვენ თუ ეროვნული შეგნება არ გვაკლია, ქართულ სახელებს, რომლის დარქმევის ნებას მაინც გვაძლევენ, რატომ ისე არა ვსწერთ და ვეძახით ჩვენ შვილებს, როგორც ნამდვილი ქართულია? ნუ თუ „ნინოჩკა" სჯობია ნუცას, „ვარვარა" — ბარბარეს, „სონია" — სოფიოს, „მიხაილ" — მიხეილს, „ვასილ" — ბასილს, „ვარდატ" — ბაგრატს და სხვა?

რაც შეეხება ჩვენი გვარების რუსულათ დაბოლოებასა და გამოთქმას, ამის შესახებ ხომ პირდაპირ ბოროტათ ვიქცევით: განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში. თუ ბოროტობა არა, აბა რა არის, ერთი მიბრძანეთ, როდესაც რობიტაშვილი თავის გვარს „რობიტოვ" სწერს; ჩახნაშვილი — „ჩახნაევ"; ა. გულისაშვილი — „გულისოვ"; მაისურაძე — „მაისუროვ"; ალადაშვილი „ალადოვ", ბარათაშვილი — „ბარატოვ", ეზიკაშვილი — „ეზიკოვ" და სხვა, ვინ ჩამოსთვლის? ქართველმა მამადიანებმა შეინარჩუნეს თავისი ქართული გვარი ოსმალების ხელში და ჩვენ ქრისტიან ქართველებს რა გვემართება ეს?! დამწვარზე მდუღარეს რათ ვასხამთ?

მ. ფარცხნალელი.

## გვიშველეთ... დაგვეხმარეთ!

(წერილი ბექათ-უბნის საზოგადოებიდან).

შარშან ამ საზოგადოებაში დიდი მოუსავლობა იყო: ბარში გამუდმებულმა სიცხეებმა გაახმეს უდროოთ ყანები და მთაში ექვნისთვის პირველ რიცხვებში ჩამოყრილმა თოვლმა ყანები დაზრო. სიმიდი ყანებშივე დალპა, აშმორდა და ღორების საჭმელათაც აღარ გამოდგა. დაშეულ მშრომელ ხალხს არც წრეულს გაუღიმა ბედმა და სარჩო-საბადებელზე ხელი აიღებია. ხვნა-თესვა თითქმის გათავებული იყო, როდესაც 5 მაისს მთელ საზოგადოების სოფლებზე გადაიარა ნიაღვარმა და სეტყვამ, ბევრ სოფელში სეტყვამ ვენახები ძლიერ დააზარალა და ნიაღვარმა ყანები წალეკა. ჯერ გონზე არ იყო ხალხი მოსული, რომ 7 მაისს ნიაღვარი განმეორდა და საბოლოოთ წახვეტა ის ყანები, რომლებიც გადაურჩნ პირველ ნიაღვარს. ზოგიერთ სოფლებში სეტყვაც ჩამოყარა და ვენახი ძლიერ დააზარალა. ამის შემდეგ გლეხებმა ხელმეორეთ დათესეს ყანები. 21 მაისს ისევ მოვიდა სეტყვა, მაგრამ, რადგან მოსაღამოვებული იყო ძალა ვერ დაატანა, მალე გადაიღო და დიდი ზარალი არ მოუცია. გვეგონა ამით გადავრჩებოდით, მაგრამ მოვსტყუვდით. 27 მაისს ნაშუადღევს პირველ საათზე ასტყდა საშინელი ჭექა-ქუხილი; სეტყვის ღრუბლებმა მოიცვა ცა, წამოვიდა მსხვილი და ხშირი სეტყვა, თან მოჰყვა ძლიერი ქარიშხალი, რომელიც ყველაფერს გლეჯდა და სწიწკნიდა. სიბნელემ მოიცვა არე-მარე და იძულებულნი შევიქენით ოთახებში სანთლები აგვენთო. სეტყვამ თითქმის 50 წუთს გასტანა და ერთს ჩარექზე დაჰფარა დედამიწა. ახლა კი საბოლოოთ განადგურდენ: ვენახები, ყანები. ბოსტნები და ხე ხილები. სეტყვას მოჰყვა კოკისპირული წვიმა; ასტყდა საშინელი ნიაღვრები. რამაც კლდემდი დაიყვანა დამუშავებული ადგილები. ადიდდენ მდინარეები და ხევები. წყლისაგან წამოლეკებულმა სეტყვამ ამოჩულა ხევები და წყალი მიდამოებს მოედვა. მდინარეებში წყალმა სამ არშინამდი აიწია, კალაპოტიდან გადმოხეთქა და გამმაგებულმა

მდინარეებმა დიდძალი დახერხილი შეშა, ბოჭკის ფიცარი (კლიოპკა), ნალოები და ტყის ხეები მოიტანა. წყალმა ბევრი ოთხ-ფეხი საქონელიც იმსხვერპლა. ღელეებზე, თითქმის, აღარ დარჩენილა წისქვილები. უბრალოთ მოვარდნილი წყლები ეზოებში უვარდებოდათ მოსახლეებს; ზოგან მარნიდან დაიტაცა საწნახლები, დათხარა ქვევრები და ექვსი-შვიდი წლის გაშენებული ვენახები. მთიდან მოვარდნილმა ღვარმა ჩამოიარა ბეჟათ-უბნის შკოლის ეზოზე, გაიხარა იგი, მოიტაცა ნაწილი შკოლის ბოსტნისა, ვენახისა და ღობისა; შემდეგ ამავე ღელემ წალეკა დუქნები, ერთსაც წინა და გვერდის კედლები შეუნგრია. შიგ მყოფმა ოქრო-მჭედელმა დ. ლომსაძემ ძლივს გაასწრო უკანა კარებით და სიკვდილს გადარჩა, მხოლოდ მთელი მისი ქონება 2000 მანეთადმი ღირებული წყალმა იმსხვერპლა. აბობოქრებულმა „მოლითის წყალმა“ დაანგრია ქვის კედლით გამაგრებული ნაპირი, ჩავარდა მოვაჭრის პ. ჭყოიძის ღვინის სარდაფში, ქვიშითა და ლოდებით აავსო იგი, სარდაფის ავეჯი და საქონელი მთლათ გაიტაცა. ამავე სარდაფზე მდგარი ხის დუქანი მეწუღე პეტ. ცუცქირიძისა წყალმა დაურღვევლათ გადაიტანა მეორე მხარეს, მხოლოდ დუქნიდან გაიტაცა შეკერილი წუღები, კალაპოტები და საკერავი მანქანა. აგრეთვე ფართლით მოვაჭრე მ. ჭყოიძესაც მოსტაცა ნაწილი საქონლისა და გარედ გამოტანილი საქონელი კი დაუსველდა. სხვა დუქნებიდანაც წაიღო ბევრი ყუთები, კასრები და სხვადასხვა საქონელი. წყალმა საურმე ხიდიც დაანგრია. მდინარის ზედა პირი ისე იყო ხე-ტყის მასალით მოცული, რომ კაცს შეეძლო მოტივტივებულ ნალოებით და ფიცრებით გადასულიყო მეორე ნაპირს.

აუწერელია ის ზარალი, რომელიც ხალხს მოუვიდა ამ დღეს. საბოლოოთ მოსპობილია ყანები, ბოსტნები, ვენახები და ხეხილი შემდეგს სოფლებში: ვახანში (ლეღვანის საზ.), ქვებში, ბაბში, დეისში, ქარტალში, მოლითში, ნებოძირში, ჩრდილში და ზვარეში. დანარჩენი სოფლებიც თუმცა დაზარალდენ, მაგრამ უფრო მცირედ. ხალხმა არ იცის რა ჰქნას. მესამეთ თესვის შედგომა, თესლიც რომ ჰქონდეთ, აღარ ხერხდება, რადგან საყანე ადგილები ძლიერ წალეკილია.

ზარალის გამოსაკვლევათ და რჩევა დარიგების მისაცემათ საჭიროა ახლავე გამოიგზავნოს აგრონომები. ხალხი იხვეწება: გაზეთის საშვალებით მაინც შეატყობიეთ ქვეყანას ჩვენი გაჭირვება, რომ ეგება ვინმემ დახმარება გაგვიწიოს და ასე ყელ-გამოჭრილები არ დაგვტოვონო.

ვსთხოვთ სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს წერილი.

სერგო დამბაშიძე.

## სახელმწიფო სათათბირო.

(გაგრძელება).

ძიუბინსკი. შრომის ჯგუფის სახელით აცხადებს, რომ ისინი ხმას მისცემენ მუხლობრივ განხილვის წინააღმდეგ.

როდიჩევი ამბობს, რომ იგი მზათ არის თავისი არგუმენტაცია გერმანიის რეიხსტაგში და ინგლისის პარლამენტშიც კი წარადგინოს—ყველგან, სადაც კი დაცულია პრინციპი ხალხისთვის პურის იაფობისა.

მომხსენებელი როსტოვცევი აღნიშნავს, რომ ეს კანონპროექტი გაგრძელებაა იმ პროექტისა, რომელიც წინეთ იქნა მიღებული და რომლითაც ბაჟი იქნა დაწესებული დასავლეთ საზღვრებიდან შემოტანილ პურზე.

კარაულოვი აცხადებს, რომ რუსეთის სახალხო პარტია ხმას აძლევს კანონპროექტს, რადგანაც იგი სასარგებლოა რუსი გლეხისათვის.

კანონპროექტი ხმის უმეტესობით მიიღეს. ამ პროექტით შემოღებულ იქნება ბაჟი ფინლიანდიაში შემოზიდულ ქერსა, შვრიასა, მუხუდოსა და ჰვავზე. 4 მარკა და 30 პენი გადახდება 100 კილოგრამ. ხოლო ფქვილზე და კრუპაზე 6 მარკ. 55 პენი 100 კილოგრ. 1914 წ. სახელმწიფო შემოსავალ-გასავალის კანონპროექტს იხილავენ. შემოსავალი ნავარაუდევია 3.572,169, 473 მან. გასავალი—3.309631766 მან. სათათბირომ შემოსავალ-გასავლის რაოდენობა უცვლელათ დასტოვა.

(3 ივნისის სხდომა)

თავჯდომარეობს ვარუნ-სეკრეტი. შემოსულ საქმეთა შორის არის შეკითხვა იუსტიციის მინისტრისადმი პსკოვის საკატორღო ციხეში ადმინისტრაციის უკანონო მოქმედების გამო და შინ. საქ. მინისტრისადმი ქარიშხალისგან დაზარალებულ პოვოლოჟის მხარის მცხოვრებთა დახმარების შესახებ.

განსახილველია კანონპროექტი ფულის გადადების შესახებ იმ ექსპედიციის მოსაწყობათ, რომელმაც უნდა აღმოაჩინოს და მიაგნოს კვალს სედოვის, ბრუსილოვის და რუსანოვის ექსპედიციისას.

ვოსტროტინის აზრით საჭიროა კიდევ იქნას გადადებული 50000 მან., რომელიც პრემიებათ მიეცემა იმ კერძო გემებს, რომლებიც ან მოიყვანენ ექსპედიციის რომელიმე მონაწილეთაგანს, ან მიაგნებენ მათ კვალს, ან უტყუარ ამბავს მოიტანებენ იმისას, თუ სად იმყოფებიან ისინი. მომხსენებელი სავიჩი წინააღმდეგია ვოსტროტინის შესწორებისა. შესწორება უარყვეს. კანონპროექტი მიიღეს. უკამათოთ მიიღეს აგრეთვე 16 კანონპროექტი. მათ შორის ორი, მიწის მზომელთა სასწავლებლის დაარსების შესახებ. იხილავენ კანონპროექტს დუნაისა და შავი ზღვის შორის გემების მიმოსვლის შესახებ და იმ მუხლს, რომლის ძალითაც ებრაელები არ იქნებიან მიღებულნი ორთქლმავალ-გემებზე შესწორება შეაქვს ფრიდმანს, წინააღმდეგია: შინგარევი. შესწორება უარყვეს. კანონპროექტი მიიღეს. მიიღეს კიდევ 16 კანონპროექტი, მათ შორის—10 სასოფლო სახელოსნოების დიარსების შესახებ. უკამათოთ მიღებულ იქმნა 9 კანონპროექტი. ლიუდნევი არღვენს კანონპროექტს რადიო-ტელეგრაფის ასაშენებლათ 787000 მან. გადადების შესახებ.

შინგარევ კითხულობს 30 მაისს არხანგელსკიდან მიღებულ დეპეშას, რომელშიც აწერილია იუგორსკი შარის რადიო-ტელეგრაფის მოსამსახურე პირთა აუტანელი მდგომარეობა.

ფოშტა ტელეგრაფის სამართველოს უფროსი აცხადებს, რომ უწყება შეეკითხა ადგილობრივ დეპეშაში აწერილ ამბების შესახებ, მარა პასუხი ჯერ არ მოსულია. კანონპროექტი მიიღეს. მიიღეს აგრეთვე 4 კანონპროექტი. დიმშა იცავს საჩქარო განხილვას შეკითხვისა—ხოლმის გუბერნატორის უკანონო მოქმედების შესახებ. სათათბირომ მიიღო წინადადება შეკითხვის საჩქაროთ განხილვის შესახებ.

(შემდეგი სხდომა საღამოს).

## რუსეთი.

### დეპეშები

(პეტ. დეპ. სააგ.)

3 ივნისი

კრემენჩუგი. ქალაქის ახლო მდ. დნეპრში გადაბრუნდა ორი ნავი. ნავებში მსხდომ 40 მუშიდან 13 დაიღუპა.

პეტერბურგი. აქ ჩამოვიდა ფრანგი ავიატორი ჟანუარი, რომელიც ივნისის შუა რიცხვებში პეტერბურგიდან პეკინს გაფრინდება.

მინსკი. ეპარქიალურმა საბჭომ გადასწყვიტა დაარსოს კურსები სხვა სარწმუნოების აღმსარებელთა და განსაკუთრებით კათოლიკეთა პროპაგანდის წინააღმდეგ საბრძოლველათ.

ეკატერინოდარი. საბერძნეთ-ოსმალეთის კონფლიკტის გამო საბერძნეთის კონსულმა ნოვოროსიისკში წინადადება მისცა შავსა და აზოვის ზღვებზე მყოფს საბერძნეთის გემებს დაბრუნდენ საბერძნეთში.

პეტერბურგი. საოლქო სასამართლოში დაიწყო 25 პეტერბურგელ ვექილთა საქმე, რომელთაც ბრალდება იუსტიციის სამინისტროს უმაღლეს და კიევის პალატის მოხელეთა შეურაცხყოფა, რაიცა გამოიხატა ნაფიც ვექილთა საერთო კრებაზე ბეილისის საქმის გამო რეზოლიუციის დადგენაში.

## უცხოეთი.

### დეპეშები.

3 ივნისი.

კოპენჰაგენი. მეფემ და დედოფალმა მიიღეს მინისტრების დანდასწრებით რკინის გზის კონგრესის და ბეჭდვითი სიტყვის დელეგატები.

პარიზი. გუშინ დიდი წვიმა მოვიდა სარდაფები წყლით აივსო. არის ადამიანთა მსხვერპლიც. ორი ქვისმთლელი მეხმა მოკლა. გაიხსნა ოლიმპიურ თამაშს საერთაშორისო კონგრესი.

ვენა. კორბიუროს ცნობით დურაცოში ბრძოლა უკვე დაწყებულა დილის 4 საათზე. სროლამ დიდხანს გასტანა. აჯანყებულებმა სცადეს იმ ხიდზე გასულიყვენ, რომელიც 300 მეტრ. მანძილზე მდებარეობს ქალაქიდან. 9 საათზე ბრძოლა შესწყდა. ავსტრიის მეზღვაურები იცავენ სასახლეს. საღამოს 6 საათზე პრინცი ქალაქიდან გავიდა აჯანყებულთა პოზიციების დასათვალიერებლად. ... დღეს ბრძოლაში დაიღუპა ჰოლანდიელი პოლკოვნიკი ტომსონი.

ბელგრადი. სკუპშჩინამ დიდი უმრავლესობით მიიღო განსაკუთრებული სამხედრო კრედიტის კანონპროექტი.

ბერლინი. ამას წინათ დატუსაღებული რუსი ავიატორი და მისი მეხანიკი გაანთავისუფლეს. ისინი რუსეთისკენ გამოემგზავრენ.

დურაცო. 2 ივნ. დილას ქალაქს ალყა შემოარტყა აჯანყებულთა რაზმმა. ქალაქში შიშის ზარი დაეცა მცხოვრებლებს, როცა პირველათ გაიგონეს თოფის ხმა. ავსტრიის და იტალიის საელჩოებს და სასახლეს მეზღვაურები იცავენ. ჯარის სარდლობა მიიღო ჰოლანდიელმა პოლკოვნიკმა ტომსონმა. პირველათ ორივე მხრიდან სროლა ატეხეს ტყვის მფრქვეველებიდან. დილის 6 საათზე ტომსონი მოკლეს. 8 საათზე აჯანყებულთ სროლას უმატეს. ქალაქის დამცველთ ძლიერ უჭირთ, რომ იხსნან ქალაქი აჯანყებულთა შეტევისაგან. აქვთ მხოლოდ ოთხი ზარბაზანი, ერთი მათგანი, რომელიც ხიდთან ჰქონდათ გაფუჭდა. ქალაქისკენ გამოსროლილ ტყვიებისაგან ქუჩებში ბევრი მოკვდა დი ბევრი დაიჭრა. დაჭრილთა და მოკლულთა რაოდენობა გამოურკვეველია. პეტ. სააგ. კორესპონდენტის აზრით კი, ძლიერ დიდი უნდა იყოს. ქალაქში რამოდენჯერმე გამოვიდა პრინცი თავის ამალით. საღამოს 6 საათზე მოხდა ძლიერი შეტაკება. ქალაქი შიშმა მოიცვა, მცხოვრებლები თავზადაცემული ნაპირებისკენ გარბოდენ. საკონტროლო კომისიამ გადასწყვიტა მთელი ღამე არ დაიმალონ და თუ აჯანყებულნი შემოვლენ ქალაქში და თავის მთავრობას ამოირჩევენ ვიდის გაქცევის შემდეგ, რომლისთვისაც მზათ არის გემი, წინადადება მისცენ მეზღვაურებს დაიცვან მხოლოდ პრინცი და სახელმწიფოთა საელჩოები და მით აიცდინონ შეტაკება აჯანყებულებთან.

## დაბა-სოფლები.

ს. ქვალონი (ზუგდიდის მაზრა) ქვალონი სივრცე-სიგანით და მცხოვრებთა რიცხვით არც ერთ მეზობელ სოფლებს არ ჩამოუვარდება. აქ არსებობს ორკლასიანი სამინისტრო სასწავლებელი, სადაც სამი ქართველი მასწავლებელი ასწავლის.

# შვილთან მამა ველარ მოვა.

მშრომელ თედოს თავისს სახლი
მაღალ კორდზე წამოუდგამს...
არ უზოგავს ღონე, ძალი
წელზე ფეხი მას დაუდგამს,
ჯაფა-შრომით იგი არე
ტურფა ბაღად გადუქცევია,
დაუღვრია ოფლი მწარე
და სიმდიდრე შეუქმნია.—
თუმცა არის მარტოხელი,
ბედ-შავს არვინ არ ეწევა,
მაგრამ მაინც ტვირთი ძნელი
და მუდმივი ცრემლის ფრქვევა.
გულს ვერ უტეხს,- ბედს დუხჭირსა
ქედს არ უხრის შრომის შვილი,
და მხნედ იტანს გასაჭირსა
ჭირ-ვარამში გამოზდილი.
მას ყავს მხოლოდ ერთი შვილი,
პაწა თამრო მშვენიერი,
ვით ყვავილი ტურფად შლილი,
მისით არის ბედნიერი;
მას შეხარის, მისთვის შრომობს,
იგი არის მისი შვება...
და მარად დღე ოფლს ღვრის, ომობს,
ვიდრე მზე არ ჩაეშვება...
საღამოს ჟამს დაქანცული
სახლისაკენ ეშურება,
იქ ესწრაფვის მაშვრალს სული,
საც ასული ეგულება.—
მას რო ნახავს ნარნარ ხმიანს,
ცქრიალას და მოელვარეს,
სიხარულს გრძნობს ნათელ მზიანს
და ივიწყებს თვის ბედს მწარეს...
და თამროცა თავის მამას
თვალს რო მოჰკრავს დაბრუნებულს,
გაქანდება იმავ წამას,
მოეხვევა ათრთოლებულს;
დაუკოცნის სახეს გრძნობით,
ცელქობს, ნაზობს, იღიმება,—
დაღლილს შესცქერს თანაგრძნობით,
იცის—მამას ემება...

2.

აგერ თედო ნავახშმობებს,
ოდეს ირგვლივ სდუმს ყოველი
და შუქსა ჰფენს ველ-მინდორ-მთებს
მთვარე ნათელ სხივთ მთოველი,—
თავის ასულს ჰხვევს საბანში,—
თამროს ძილი ეპარება,—
და გახვეულს ტკბილ ბურანში
უალერსებს, ეფერება:
„—მთის ყვავილო,
შვილო ტკბილო,
ანგელოზი ცით დაგცქერის,
და სახე მტკბარს,
ვით მეგობარს,
ციურ ნანას შენ გიმღერის;
ოქროს ფრთებით,
ელვარებით
თავს გევლება, მარდათ ფრინავს...
გაიხარებს,
ინეტარებს,
გულო, შენ თუ ტკბილათ გძინავს.
მაშ იძინე...
და იფრინე
ტკბილ სიზმრების მარდი ფრთებით;
დასტკბი ჩვილო,
ნაზათ ზრდილო,
შვებითა და მოსვენებით...
უკვე გძინავს
კეკლუც, მღიმავს?..
ხომ არ გაკრთობს, სულო, რამე?..
ღამე ნებით,
მოსვენებით!..
... ვიშ, რა რიგათ მშვიდობს ღამე!..

3.

ანაზდათ თედოს ხმა ესმა,
შეაკრთო გააჟრიალა:
ვიღაცამ ჰიშკრის კარები
გააღო გააჭრიალა,—
და შემოიჭრენ მხედარნი
ეზოში თქარა-თქურითა,
სწრაფობდენ. ცხენს აჩქარებდენ
დეზების ჩხარა-ჩხურითა.
შემოეხვიენ გარს სახლსა,
კარებს დაუწყეს ბრახუნი,—
ისმოდა შეუწყვეტლად
თოფ-იარაღთა ჩხარუნი...
თედომ კანკალით თამროსკენ
სწრაფ მიმოავლო თვალები...
მერე გასწია კარისკენ,
მხედრებს გაუღო კარები...
შიგ შემოვარდენ ხმლებითა
გააფთრებული ჩაფრები:
ზოგი ქართველი და ზოგიც
ქობულეთელი თათრები...
მათ თან შემოყვა უფროსი,
ბრაზობდა, იგინებოდა,
განრისხებული, გამწყრალი
არავის ერიდებოდა.
— სცემეთ! —ჩაფრებს შესძახა:
თვალთ დაუბნელეთ სინათლე;
ეგებ მძარცველმა მაშინ სთქვას
და გაამჟღავნოს სიმართლე!—
მისცვივნდენ თედოს ჩაფრები,
მაგრად გაუკრეს ხელები...
სცემდენ ულმობლად ბედშავსა
მიწის სიმართლის მცველები.
გაჰქონდა მათრახს ტყლაშუნი,
სისხლი სდიოდა ღვარებად;
თედო კი სდუმდა უსიტყვოდ,
მხოლოდ ცრემლს ღვრიდა ცვარებად...
თამრო ხრიალმა შეაკრთო,
აუტყდა ტანში ჟრიალი;
ზე წამოვარდა... გაშეშდა
უხმოდ, უსიტყვოდ ფერ-მკრთალი.
ფართოედ დაღებულ თვალებით
უაზროთ იცქირებოდა;
საშინელება უსაზღვრო
სახეზე ეხატებოდა...
უცებ შეინძრა... იკივლა,
გადმოაფრქვია ცრემლები,
და მამისაკენ საშველად
გადაიშვირა ხელები...
სტიროდა, მამას ეძახდა:
— მამილო, მამა, მამაო!
მაგრამ არავის ესმოდა
მისი ძახილი ამაო.
მხოლოდ თედოსა შვილისა
ძახილი სულს უკოდავდა,
მათრახზე უფრო სტანჯავდა,
ასულს რო მტირალს ხედავდა.
დაფლეთილ ტანზე წვეთებათ
სისხლი წითელი სდიოდა;
უფროსი კი კვლავ მრისხანედ
— სთქვი და არ გცემო! —ჰკიოდა...
თედო კვლავ სდუმდა... რა ეთქვა,
რომ არაფერი იცოდა?..
ისევ მდუმარედ ბედკრული
ტანჯვის ქარ-ცეცხლში იწვოდა...
ბოლო ვერ უძლო მათრახსა
და თამროს მოთქმას მწარესა,
დნებოდა, მისი გოგონა
ცრემლებს რო ღვრიდა ცხარესა;
და უფროსს ჰკადრა: —ბატონო,
რას მერჩით?.. ცილს რატომ მწამებთ?
რათ არ მეხსნებით მართალსა?..
ნუთუ ღმერთის აღარ იწამებთ?!
—ხედავთ ქოფაკი რას ამბობს?!
ცილს რათ მწამებთო!.. დაჰკარით!!
მაგრათ შეკარით, შეკოჭეთ
გასანთლულ მსხვილი ბაწარით! —
და გაახშირეს ჩაფრებმა
მათრახის ზუზუნ-ტრიალი...
სულ მთლად გამწარდა თამრიკო,
შექმნა ტირილი, ღრიალი...
თედომ შვილს თვალი მოავლო,
გულს ელდა ეცა ტანჯულსა:
შეხედა—ფერ-დაკარგული
ძლივს ღა ითქვამდა ის სულსა.
გადაავიწყდა ყოველი,
—დამნაშავე ხარ! —იყვირა,
და თამროსაკენ შეკრული
ხელი საშველად იშვირა...
დაიძრო ხელი ბაწრიდან,
შვილი ჩაიკრა მან გულში...
ეფერებოდა, კოცნიდა,
თითქო იძვრენდა თვის სულში...
დასტკბა გოგონა, დაყუჩდა,
მამას მიეკრა გულზედა:
თვისი მთრთოლვარე ხელები
შემოახვია ყელზედა;
ხან ცრემლით სავსე თვალებით
მამა მისს მისჩერებოდა;
და ხანაც შვების სლოკინით
გარშემო იცქირებოდა;
თვალს არიდებდა ჩაფრებსა,
მათი შეხედვით კრთებოდა...
ხოლო უფროსი თედოსა
პირ-ქუშად მისჩერებოდა...
და ბოლოს ბრძანა: —ადექი!
შენთვის ჩვენ არა გვცალია.
შვილს თუ შორდები, მძარცველო,
ეგ თვითვე შენი ბრალია...
წამოიყვანეთ ჩაფრებო,
არსად გაგექცესთ გზაზედა!..
ბრძანა და გარეთ გავიდა,
ვარსკვლავთ შეხედა ცაზედა.—
მყისვე მისცვივნდენ ჩაფარნი
ბრძანების შესასრულებლად,
შვილი მოგლიჯეს გულიდან,
კვლავ შეკრეს შეუბრალებლად...
და გულ-წასული გოგონა,
ფერ-მკრთალი, შეწუხებული
იქვე დააგდეს ობლადა
ღვთისაგანაც მივიწყებული.,.
ხოლო თედო კი ნაცემი,
გულ-გაბასრული, მწუხარე
გამოიყვანეს სახლიდან,
ცრემლი სდიოდა მდუღარე...
სდუმდა გარემო... ნიავსა
მიძინებოდა ზღვის მკერდზე;
მთვარის ნაზ სხივით გამსჭვალულს
ნისლსაც ეძინა მთის ფერდზე.
ცას ლურჯსა გულ-მკერდს უმკობდა
ციალა ვარსკვლავთ კრებული;
პირ-სავსე მთვარე მათ შორის
სცურავდა გაღიმებული...

4

ეჰა, მთვარევ სხივოსანო,
რომ კაშკაშებ და ციმციმებ,
ავს და კარგზე, სხივ-თმოსანო,
გულ-ცივად რად გაიღიმებ?!
შენ ხომ იცი—მიწის ბურთზე,
ვით იტანჯვის შრომის შვილი!
მაშ ერთხელაც შენს სახეზე,
რად არ კრთება ეგ ღიმილი?..
ნუ თუ შენთვის მწუხარება
უცხო არის, არ გიგრძნია?
ერთხელ მაინც ჰმუნეარება

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში.
მაზიაშვილის სიმხით
ვენახების საქმიო მანქანები ვერმორელისა და პლატაცისა, გოგირდის საბერვლები.
მევენახეთა საყურადღებოდ.
მიღებულია და იყიდება
უმაღლესი ხარისხის
ძლიერ ზომიერ ფასად
ნამდვილი ინგლისური
შაბიამანი,
გოგირდის ფხვნილი, ქაქმენის სითხე.
მანქანების ყოველგვარი რემონტი და სხვა მოწყობილობა

დიდი ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობის და მხალიერის
ქ. ქუთაისში.
ფ. ს. ფილიპოვისა.
ალექსანდრეს ქუჩაზე,
მოგვეპოება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილობა; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოება აგრეთვე ყველანაირი სათჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი; განთქმული ლიბავის ქარხნის „ვიკანდერ და ლარსონის" სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია.
პატივისცემით ფ. ფილიპოვი.

რკინის გზის სადგურზე მოსამსახურეთა უმრავლესობაც ქართველებისაგან შესდგება. მცხოვრებლებშიაც არიან ისეთი პირნი, რომლებსაც, ცოტათ თუ ბევრად, განათლებულად მოაქვთ თავი. და ყველა ამათ, რომ ცოტაოდენი ენერგია და გამჭრიახობა შესწევდეს, ამ ჯერ კიდევ ბნელ და განათლების მხრივ მეტად ჩამორჩენილ სოფელში ბევრი რამეების გაკეთება შეიძლებოდა. მაგრამ საზოგადო საკეთილდღეო საქმისთვის აქ ხომ თავს არავინ იცხელებს; და თუ ვინმე მადლიანმა, ან და რომელიმე საზოგადო დაწესებულებამ ყურადღება მოგვაქცია, მაშინ იქვე ჩნდებიან მსუნაგნი ჩარჩ-მატყუარა ვიგინდარები და ხელს უშლიან ჩვენ წინსვლას.

რადგანაც აქ ჟურნალ-გაზეთები და წიგნები ნაკლებათაა გავრცელებული, სოფლის მოწინავე ელემენტებმა განიზრახეს დაეარსებიათ წიგნთ-საცავ სამკითხველო. ეს საკითხი აღიძრა კიდევ 1912 წელს და მას აქეთ, დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ ნებართვის და რამდენიმე გროშების მოგროვების საქმეც სისრულეში იქნა მოყვანილი.

პირველ ხანებში, ადგილობრივი მცხოვრები ბ. ალექსი ბ. დეისაძე საზოგადოებას პირდებოდა სამკითხველოსათვის შენობის უფასოდ დათმობას, მაგრამ როცა დაპირება საქმედ უნდა ქცეულიყო, ბატონმა დეისაძემ უარი სთქვა დაპირებაზე და საზოგადოებას კოვზი ნაცარში ჩაუგდო, რის გამოც დღევანდელი ქვალონის წიგნთ-საცავ-სამკითხველო სადღაც შენობების უკან ბნელ ოთახშია მოთავსებული. მთელი დღე რომ იაროთ, თუ ბრმასავით ხელით არ მიგითითეს, სამკითხველოს მიგნებაზე ნურას უკაცრავად. თუ მიაგენით მერწმუნეთ, რომ იქაური სანახაობა თქვენ გაგაოცებთ. მართლაც ვის გაუგონია მაგიდის ნაცვლად სამკითხველოში იატაკზე ჟურნალ-გაზეთების დაწყობა წასაკითხავათ.

ტანგო.

---

მშრომლის კვნესას არ უძლვნია?..
ჰა, ხომ ხედავ ბნელი ღამით,
ვით სარგებლობს ძალა ბნელი,
მძინართ სწამლავს გესლით, შხამით
და ხარხარებს ბელზებელი!..
ჰა—არ გესმის? ბავშის კვნესა
შენს სხივებში ჩაექსოვა,
კვნესა ცრემლად გაილესა:
შვილთან მამა ველარ მოვა!..
ოხ, შენ ისევ იღიმები,
სხივებს არხევ, აციალებ;
გულს არ გილბობს შენ ცრემლები,
ცის ლურჯ მკერდზე დასრიალებ!
გულ-ცივი ხარ, უგრძნობელი!
ემონები ბნელ-წყვდიადსა...
ჩვენ მზე გვიხსნის, მზე ნათელი,
მისით ველით განთიადსა!..

5

ჯერ კი დუმილს სულის მკოდველს
არღვევს ხმაი ბორკილთ ჟღერის;
და ტყვე მამა ბნელ საკანში
მწარეთ მოსთქვამს, მწარეთ მღერის: —
„ტურფად შვილო
ვარდო გულის,
შვილო ტკბილო,
მრჩენო წყლულის,
სადა მყავხარ?.. ვინ გბატონობს?
დაობლებულს, ვინ გპატრონობს?..
ოქროს თმიანს,
მონარნარეს,
პირ-ბადრ მთვარეს
პარტახ სახლში ობლად გძინავს,
მამის ფიქრი თავს დაგფრინავს...
მე ბნელს ვზივარ,
ვიხუთები!
ბორკილში ვარ,
სევდით ვდნები!
უშენობით, გენაცვალე,
დავძაბუნდი, შევიცვალე!..

—

მოსთქვამს თედო... ჟღერს ბორკილი...
ვინ ანახვოს ბედ-კრულს შვილი?!

ობოლი მუშა.

---

ს. ბაჯი. (ქვემო რაჭა). ქუთაისიდან რაჭისკენ მიმავალი მგზავრი გაივლის თუ არა ლეჩხუმის „კლდე დალმართის" ღრიანკელ გზებს, დილიდან წამოსული, საღამოს წამს მიაღწევს ეგრეთ წოდებულ „ფორაჯის ჭალას", სადაც, აქობამდე რიონსა და კლდეებს შორის ხიფათში მყოფი მგზავრი თავისუფლათ ისუნთქავს და ტკბება ბუნების სიმშვენიერით. მეეტლე ვაკე გზაზე ხელს უშვებს ალვირებს და თავისუფლათ, რულ მორეული მიემართება პარატა ბაზარ ჭრებალოსაკენ, მთელ 7 ვერსის მანძილზე. მართლაც, ხომ მდებარეობა საუცხოვოა: იქეთ-აქეთ ფერდოებზე მიწყობილი, რაჭა-ლეჩხუმის სოფლები, ძირს მდინარე რიონი და მის გარშემო თვალ უწვდენელი ჭალები ძვირფას ვენახებით და ყანებით დაფენილი. რიონს გაღმით, ცოტა მაღლობათ გაშენებული სოფელი ბაჯი, რომელიც თვისი კოხტა მდებარეობით, ძალაუნებურათ იქცევს მგზავრის ყურადღებას. სოფელი წყლებით და ჰაერით შემკობილია. იგი შეიცავს ას მცხოვრებელს, რომლებიც მიუხედავათ წოდებისა მიწის მუშაობას მისდევენ. შედარებით რაჭის სოფლებისა, ბაჯი განთქმულია სიმინდის მოსავლით, მაგრამ არც თუ ღვინო მოდის ნაკლები ხარისხისა. ამიტომ მცხოვრებლები თითქმის ყველანი, როგორც ძველს, აგრეთვე ამერიკულ ჯიშზე დამყნილ ვენახების გაშენებას ეტანებიან.

წელს ჯერ-ჯერობით მოსავლებს კარგი პირი უჩანს თუ მოსალოდნელ ზაფხულის საზარელმა გვალვებმა შარშანდელივით არ გააფუჭა. ვენახებსაც საუკეთესოთ ასხია, ამიტომ საწყალი გლეხი ყოველ მოლოდნელობაზე ხელ აპყრობილი ღმერთს ევედრება „ღმერთო სეტყვა არ მოიყვანოვო".

ექვსი წელიწადია ამ სოფელში ინჯინერთა შემოწმებით აღმოჩნდა: ასფალტის რეზინის, იატაკის სანთლის და სხვათა მადნეულობა. ინჯინრები მოვიდნენ, შეეკრენ ადგილის მეპატრონეებს იმ პირობით, რომ მუშაობა მალე უნდა დაეწყოთ. მას აქეთ განვლო ამდენმა ხანმა და მათი სახსენებელიც აღარ მოისმის ადგილობრივი ხალხი კი მოუთმენლათ ელის მათ მოსვლას და მუშაობის გაჩაღებას.

„იოლა".

# სია

იმ პირთა, რომელთაც შესწირეს სხვადასხვა ნივთი წერა-კითხვის საზოგადოებას 4 მაისის საღამოს გასამართავათ.

გაგრძელება იხ. „იმერ." მე-70 №.

გოგუცა კაკაბაძისამ მოაგროვა შეწირულება შემდეგ შვიდ პირისაგან: 1) გ. ი. ჩიკვაშვილისაგან 6 პირსაბანი საპონი, 2) ანიჩკა ბასილაძის მეუღლისაგან ჩითის მატინე, 3) ფაცია მიქაბერიძის ასულმა ღია ბარათების ალბომი, 4) სერაპიონ მეძმარიაშვილის მეუღლემ ორი ხავედის ბალიშის საპირე, 5) გოგუცა კაკაბაძის მეუღლისაგან 1 მოქარგული პირსახოცი, 6) დესპინე რატიანის მეუღლემ მაგიდაზე გადასაფარებელი ზოლი, 7) რებეკა კაკაბაძისიგან 6 არშინი განიერი არშია თეთრეულისათვის, ნინო ფანცხავასაგან 1 დიდი საფერფლე, ალექსი ხუციშვილისაგან ყმაწვილის ჩოხა, ახალუხი, ქუდი და ქამარ ხანჯალი, მარიამ თაყაიშვილისაგენ, 6 ჩაის ტილოს სალფეთქი, ნინა კაკაბაძისაგან 1 ბატისთას ბავშის ბლუზა, უცნობისაგან ორი ყვავილის ვაზა, მარიამ გიორგობიანის ასულისგან 1 ტილოს წინსაფარი მოქარგული, ნინო ლორთქიფანიძის მეუღლისგან 1 საშაქრე, ელისაბედ ხოჯავანიშვილის ასულისგან 1 პატარა გლობუსი, 1 პატარა მოწნილი კალათი, 1 ქანდაკება და 1 ხის საჩაიე კოლოფი. ელისაბედ დავითის ასული დგებუაძისგან 2 საფერფილე და 1 ყვილის დასადები ფიცარი, ანნა ხუსკივაძის მეუღლისგან 1 სათამაშო და ერთ სანაცრე,, ნატალია თურქიას ასულისგან 2 ვაზა 1 წინსაფარი მოქარგული, ნონო გამრეკლიძისგან 1 ბალიშის ზოლი, ეკატერინე ფურცელაძის მეუღლისგან 6 ხილის სალფეთქი ბარბალე ყღენტისგან 2 აბრეშუმის ცხვირსახოცი, მოწაფე სოფიო კაზლოვის ასულისგან 1 მოქარგული წინ საფარი, ნინო აბესაძის ასულისგან 1 ღია ბარათების ალბომი, ვერა გოგიჩაძის მეუღლისგან 1 პირსახოცი 4 ბალიშის მოქარგული კუთხეები.

(გაგრძელება იქნება).

რედაქტორ-გამომცემელი გ. ჭელიძე.




კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნებართვით
ამავე კურსებთან იხსნება საშუალო სასწავლებლების ყველა კლასის უმაღლესი სპეციალური სასწავლებლებისა, და განსაკუთრებით, მიწისმზომლობისა, სამხედრო სასწავლებლებისა და სამასწავლებლო ინსტიტუტისათვის მოსამზადებელი კურსები. ამის შესახებ პირადათ დაკითხვა შეიძლება კურსების კანცელარიაში. დილის 9—12-მდი და საღ. 8—9 საათამდი.
მისამართი: თფილისი, პუშკინის ქუჩა, № 8 ტელ. 10—30.

# განცხადება.

ქუთაისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ამა 1914 წლის 5 ივნის დღის 12 საათზე გამგეობის შენობაში

# დანიშნულია ვაჭრობა

ქალაქის ეგრეთწოდებულ ყაფნის მოედანზე მდებარე ქალაქის „ბუდკების" იჯარით გასაცემათ,
პირობების გაცნობა შეიძლება გამგეობის კანცელარიაში დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდი გარდა უქმე დღებისა.

სახალხო განათლების მინისტრის განკარგულებაში მყოფის ინჟინერ მ. ნ. ვინოგრადოვის, მიის მზომლობისა, საამშენებლო და სამეურნეო განყოფილებიანს
თფილისის პოლიტეხნიკურ კურსებზე
პირველ სემესტრში გამოუცდელათ მიიღებიან: 1872 წლის დებულების სამოქალაქო სასწავლებლისა, ან და მისი მოთანასწორე სასწავლებელ დასრულებული პირები. მიწისმზომლობის განყოფილების დამსრულებლებს, თუ საჭიროება იქნება, სამიჯვნელო ნაწილის გამგე თანაშემწეების კანდიდატებათ და მიწის მომწყობი კომისიის მიწის მზომლებათ ირჩევს. (სამიჯვ. ნაწ. გამგის 1914 წ. 22 თებერვლის 1072 ნუმრის მოწერილობა). მიწისმზომლობის განყოფილებაში ორი წლის კურსია, საამშენებლოსა და სამეურნეოსაში კი ორი წლინახევრის. პროსპექტებს ვგზავნით ექვსი შაურის საფოსტო მარკების მიღებისთანავე.
მისამართი: თფილისი, პუშკინის ქ. № 8 ტელ. 10—30.

სამკურნალო აბანო.
ძმ. ყორყოლაძეების
სადგურ ხრესილში (სერნია ვოდში) ტყიბულის რკინის-გზის შტოზე
თქვენი თვალით იხილეთ და დარწმუნდებით.
ეს წყალი, როგორც ნამდვილათ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობისაგან, უმეტესათ კი: ქარების, (რევმატიზმის) თავის, კუჭის ტკივილისაგან, ნერვების სისუსტისაგან, ჩაყოლილი ციებისაგან (მალარეიასაგან) და აგრეთვე აღორძინებს სუსტ ადამიანებს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც, ხსენებული აბანო მდებარეობს ტყიბულის რკინისგზის შტოზე სადგურ „სერნია ვოდში". აბანო არის სადგურზე დაშორებული 150 საჟენით, მისვლა-მოსვლა და ხაბაკის გადაზიდვა ძლიერ იოლია, ვინაიდან ქუთაისიდან დღეში ორჯერ გადის და მოდის მატარებელი სადგურ „სერნია ვოდში" იქვეა სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ზომიერია. აბანო მუდმივ მუშაობს.

სახლის პატრონთა საყურადღებოთ.
წრეულს თქვენ დაგჭირდებათ შეკეთება თქვენი სახლის, მაშასადამე უეჭველათ საჭირო იქნება თქვენთვის საღებავი მასალები, თავისთავათ ცხადია, დაიქირავებთ მღებარს (მალიარს) და წახვალთ რომელიმე სავაჭროში საღებავების საყიდლათ, იმ იმედით რომ თქვენ მიერ ნაქირავები მღებარი შეატყობს საღებავი მასალების ღირსებას, მართალია ეს? სულაც არა! საღებავების ღირსებას თვალით კარგი გამოცდილი ქიმიკოსიც ვერ შეატყობს, მაშ როგორ სჯობია მოიქცეთ? გირჩევთ მიიქცეთ
ძმ. ედ. და პ. საკაშვილების სავაჭროში
ქუთაისში
პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახლი, რადგან მათ მიერ მოტანილი საღებავი მასალები შემოწმებულია ქუთაისის ქიმიკურ ლაბორატორაში და აღმოჩნდა საუკეთესო ღირსების. აქვე იშოვით კარის, სარკმლისა და ფეჩის მოწყობილობას, აგრეთვე ალიბასტრს, ცემენტს, სახურავ თუნუქს თეთრსა და შავს, ფანჯრის მინებს შპალერს და სხვა მრავალს რკინეულ საქონელს.

ნ. ს. ტერკის მაღაზია
ქუთაისში
ველოსიპედები




ყველაზე იაფა.

შინები, ნაწილები და მოწყობილებანი კონკურენციის გარეშე
ყველაზე იაფად
ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება. მოითხოვეთ პრეისკურანტები უფასოთ.

# რკინის გზა

ქუთაისიდან მიდის

| | | |
|---|---|---|
| თფილისს: | ფოშტის დილის | 11 საათ. 55 წ. |
| | ჩქარი ღამით | 2 საათ. 57 წ. |
| | სახალხო დილის | 10 საათ. 10 წ. |
| | სახალხო ღამით | 1 საათ. 7 წ. |
| ბათომს: | ფოშტის საღამოს | 5 საათ. 30 წ. |
| | ჩქარი ღამით | 2 საათ. 57 წ. |
| | სახალხო საღამოს | 8 საათ. 35 წ. |
| | სახალხო დილის | 4 საათ. 27 წ. |
| ფოთს: | სახალხო საღამოს | 4 საათ. 14 წ. |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. 57 წ. |
| | სახალხო დილით | 4 საათ. 27 წ. |
| | ფოშტის საღამოს | 5 საათ. 30 წ. |
| | სახალხო საღამოს | 8 საათ. 35 წ. |
| შორაპანს: | საავარაკო საღამოს | 5 საათ. 00 წ. |
| ტყიბულს: | სახალხო დილის | 6 საათ. 20 წ. |
| | სახალხო საღამოს | 4 საათ. 20 წ. |

ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან: | ფოშტის საღამ. | 6 საათ. 57 წ. |
| | ჩქარი ღამით | 3 საათ. 50 წ. |
| | სახალ. საღამოს | 9 საათ. 44 წ. |
| | სახალხო ღამით | 5 საათ. 50 წ. |
| ბათომიდან: | ფოშტის დღით | 1 საათ. 25 წ. |
| | ჩქარი ღამით | 3 საათ. 50 წ. |
| | სახალხო დღით | 11 საათ. 22 წ. |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. 23 წ. |
| ფოთიდან: | სახალხო დილით | 10 საათ. 3 წ. |
| | ფოშტის დღით | 1 საათ. 25 წ. |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. 23 წ. |
| | სახალხო ღამით | 3 საათ. 50 წ. |
| შორაპნიდან: | საავარაკო დილ. | 9 საათ. 18 წ. |
| ტყიბულიდან: | სახალხო საღამოს | 7 საათ. 39 წ. |
| | სახალხო დილით | 9 საათ. 38 წ. |

სტამბა „ძმობა", პუშკინის ქუჩა სახლი გოკიელოვის.